



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივითილება
ქ. თბილისი



MES 7 23 0000960994



03/08/2023

„შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 მაისის №576384 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის (№742281, 22/06/2023), საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, 2023 წლის 22 მაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №576384 გადაწყვეტილებისა და №575845 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნას „შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 მაისის №576384 გადაწყვეტილება.

2. სააპელაციო საბჭოს 2023 წლის 03 აგვისტოს N960771 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
თავმჯდომარე
ლევან ბორის



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

